საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „იბეროილი"-ს მიერ დაგეგმილია ქ. თბილისში, იუმაშევის ქუჩის მიმდებარე, შ.პ.ს. „იბერიოლი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.19.26.05.015) 7000 m^3 ტევადობის ნავთობპროდუქტების საწყობის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართის 29-ე პუნქტის თანახმად "1000 m^3 ან მეტი ჯამური მოცულობის წიაღისეული საწვავის ან/და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლოატაცია" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ამ კოდექსის მე-5 შესაბამისად კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ძირითადი ეტაპებია ამ კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა, შემდგომ ამ კოდექსის მე-10 და მე-11 მუხლებით განსაზღვრული გზშ-ს პროცედურა და ამ კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, წარმოგიდგენთ დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

დანართი: 1. შ.პ.ს. „იბეროილი"-ს ნავთობპროდუქტების საწყობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში;

2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

№ 19179
"26" 10 2021
4/100 ფ.

პატივისცემით,

მიხეილ ნიკოლეიშვილი

შ.პ.ს. „იბეროილი"-ს დირექტორი